

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში „უნივერსიტეტი“) საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესს, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტს და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხას (შემდგომში „ნუსხა“)
2. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ამ წესის დანართი N1-ით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოყენებას საკუთარ ელექტრონულ რესურსზე (ვებგვერდზე)
3. უნივერსიტეტის ვებგვერდის მისამართია www.iliauni.edu.ge
4. უნივერსიტეტის ვებგვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია უსასყიდლოდ ღია და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის.

მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

1. უნივერსიტეტის ვებგვერდზე იქმნება შესაბამის განყოფილება „საჯარო ინფორმაციის გვერდი“, რომელზედაც განთავსდება ამ წესის დანართი N1-ით გათვალისწინებული ინფორმაცია.
2. ინფორმაციის მოწოდების პერიოდულობასა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, ხოლო ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებგვერდზე დროულად განთავსებაზე, სამდივნო (საჭიროების შემთხვევაში განთავსება შეიძლება უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა)
3. უნივერსიტეტის რექტორი განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირს, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებიდან ინფორმაციის მიღებას და ვებგვერდზე განთავსებას.
4. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის უფროსი განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირს, რომელიც უზრუნველყოფს პროაქტიულად გამოსაქვეყნებლად ინფორმაციის დროულად და პერიოდულად მიწოდებას.

მუხლი 3. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტი

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტეს, პერიოდულობას და განახლებას. ინფორმაციის განახლებისას მიეთითება განახლების თარიღი.
2. უნივერსიტეტის ვებგვერდიდან შესაძლებელია პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა, კოპირება და ბეჭდვა.

მუხლი 4. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესი

1. დაინტერესებულ პირს შეუძლია უნივერსიტეტისგან მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია ელექტრონული ფორმით.
2. უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე (info@iliauni.edu.ge) შემოსული მოთხოვნა გადაეგზავნება საჯარო ინფორმაციის

ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელ პირს და ავტომატური დადასტურების შემდეგ გადაეგზავნება იმ სტრუქტურული ერთეულის უფროსს, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება მოთხოვნილი ინფორმაცია.

3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადის ათვლა დაიწყება ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის რეგისტრაციის დადასტურებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.
4. საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გაცემაზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ვადები და ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა.
5. ელექტრონულად მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავება/მომზადების შემდეგ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი წერილობით ადასტურებს ინფორმაციის გაცემას ან უარს, რაც ელექტრონულად ეცნობება დაინტერესებულ პირს.
6. საჯარო ინფორმაცია გაიცემა დაინტერესებული პირის მიერ მითითებულ ელფოსტაზე გაგზავნით (ან მისი თხოვნით ან მასალის მოცულობის გათვალისწინებით ელექტრონულ მატარებელზე ჩაწერით, მოსაკრებლის გადახდით).

მუხლი 1. ზოგადი ინფორმაცია		
1.	უნივერსიტეტის სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა, საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები	ცვლილებისთანავე
2.	ინფორმაცია უნივერსიტეტის თანამდებობის პირთა შესახებ (სახელი, გვარი)	ცვლილებისთანავე
3.	უნივერსიტეტის და მისი სტრუქტურული ერთეულების მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი	ცვლილებისთანავე
4.	უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში	ქვეყნდება ყოველწლიურად
მუხლი 2. სამართლებრივი აქტები		
1	ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებენ უნივერსიტეტის საქმიანობას	ძალაში შესვლიდან 10 დღეში
2	ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია	ძალაში შესვლიდან 10 დღეში
მუხლი 3. საჯარო ინფორმაცია		
1.	საჯარო ინფორმაციის გვერდი	
	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონის ნომერი	ცვლილებისთანავე
	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები	ცვლილებისთანავე
	უნივერსიტეტის მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისთვის წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში	ყოველწლიურად
	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37–ე და მე–40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა	ყოველწლიურად
2	უნივერსიტეტის საკადრო უზრუნველყოფა	
	უნივერსიტეტში გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა).	ცვლილებისთანავე
	ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს უნივერსიტეტში კონკურსის ჩატარების წესებს	ცვლილებისთანავე
3	უნივერსიტეტის დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა	

უნივერსიტეტის დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტები	ყოველწლიურად
უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელის მითითებით	ყოველწლიურად
უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი	ყოველწლიურად